

პრეზიდენტი

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი დაარსდა 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის 12 დეკემბრის განკარგულებით, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ს. ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის გაერთიანების საფუძველზე.

2008 წლის 24 სექტემბერს დამტკიცდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის წესდება, რომელშიც განსაზღვრულია ცენტრის სტრუქტურა, მიზნები და ფუნქციები:

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) მეცნიერული კვლევა, მისი პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საკონსერვაციო პროგრამების შემუშავება და განხორცილებული პროექტების ექსპერტიზა; საინვენტარიზაციო-სააღმიანოებო საქმიანობა; ძეგლების ფოტოფიქსაცია; საგანმანათლებლო საქმიანობა; საზოგადოების ინფორმირება; საკონსერვაციო და კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავება; სახელმწიფოს დახმარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პოლიტიკის შემუშავებაში, კერძოდ:

- ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ისტორიის სფეროებში;
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია (სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები, გამოფენები, გებ-გვერდები, ტურისტულ-საინფორმაციო გამოცემები; მედია პროდუქცია და სხვ.);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და სრულყოფისათვის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) ობიექტების ფიქსაცია და ინვენტარიზაცია (მოძრავი და

უძრავი ძეგლების პასპორტების შედგენა), კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დიგიტალიზაცია, დაკომპლექტება და არქივირება;

- ხელოვნების ნაწარმოებთა ფასეულობების (ობიექტების) ექსპერტიზა მათი კულტურული დირებულებების დადგენის მიზნით;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი) სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროექტებისა და მათი განხორციელების სამუშაოების ექსპერტიზა და მონიტორინგი.
- სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობა (საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, სამაგისტრო კურსები);
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოფიქსაცია, დოკუმენტირება, არქივირება და სხვ.
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო შეკრებების მოწყობა და მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ;
- გ. ჩუბინაშვილის ცენტრთან არსებული ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ფოტო-ლაბორატორია აწარმოებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა ფოტოფიქსაციასა და დიგიტალიზაციას. ლაბორატორიაში ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა უნიკალური ფოტო-ასახულობანი (სლაიდები, დიგიტალური გამოსახულებანი).

ცენტრის სამეცნიერო მუშაობას წესდების შესაბამისად წარმართავს სამეცნიერო საბჭო 11 კაცის შემადგენლობით. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. დიმიტრი თუმანიშვილი; თავმჯდომარის მოადგილე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მზია ჯანჯალია; სამეცნიერო საბჭოს მდივანი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქეოვან მიქელაძე. ცენტრის დირექტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მარიამ დიდებულიძე, დირექტორის მოადგილე - იურისტი ლევან ზედგინიძე.

ცენტრის სტრუქტურა:

სამეცნიერო ნაწილი – ორი განყოფილება:

- ძველი ხელოვნების განყოფილება (განყოფილების გამგე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი – დაით ხოშტარია);
 - თანამედროვე ხელოვნების განყოფილება (განყოფილების გამგე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი – მარინა გაჩეჩილაძე);
 - არქივისა და ბიბლიოთეკის სექტორი (გამგე – გურამ უდენტი);
 - ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი (ხელმძღვანელი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი – თამაზ დვალი).
- ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია (გამგე - მარინა ფირცხალავა).
- 2015 წელს ცენტრში ირიცხებოდა 87 თანამშრომელი: 7 მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, 28 უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, 29 მეცნიერ თანამშრომელი; ადმინისტრაცია და დამხმარე პერსონალი – 23. 2015 წელს ცენტრში სტაჟირებას გადიოდა 6 ახალგაზრდა მეცნიერი.

გიორგი ჩუბაინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა
და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში 2015 წელს
განხორციელდა გამმით გათვალისწინებული შემდეგი საქმიანობა

სამეცნიერო კვლევა:

1. წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება
2. შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება
3. შუა საუკუნეების ქვისა და ლითონის ქანდაკება
4. შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა
5. შუა საუკუნეების ხატწერა და მინანქრის ხელოვნება
6. პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება
7. კულტურათა დიალოგი
8. ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების გზა
9. ქართული სცენოგრაფია
10. ახალი არქიტექტურის განვითარების ისტორია
11. საარქივო მასალის დამუშავება და კვლევა



**1.1. ჭინაძრისტიანული
ხანის ხელოვნება**

- კოლხური ცულების გრაფიკული დეკორი (2014-2016)
მარიამ გაბაშვილი

გრაფიკული დეკორით შემკულ კოლხურ ცულებზე გრავირებით შესრულებული ზოომორფული (სამ შემთხვევაში ანთროპომორფული) და მრავალფეროვანი ორნამენტული გამოსახულებებია გადმოცემული. მათი მხატვრული გენეზისის, სტილისა და თავისებურებების გამოვლენა მათ სტილურ დაჯგუფებას და შემდგომ ანალიზს ეყრდნობა. საკვლევი თემის მეორე ეტაპზე (2015 წ.) შესრულებული სამუშაო მოიცავს ოცი არტეფაქტის აღწერასა და მხატვრულ ანალიზს.

- წინააზიური მოტივები ბრინჯაოს სარტყელთა მხატვრულ რეპერტუარში (2014-2016), ნინო ბოჭელაშვილი

2015 წელს შესრულდა თემის დასამუშავებლად საჭირო წინასწარული სამუშაოები: შედგენილია საქართველოში აღმოჩენილ სარტყელთა ნუსხა, გამოყოფილია სარტყელთა ტიპოლოგიურ-სტილისტური ჯგუფები, დასრულებულია მათი ტოპოგრაფირება, მოძიებულია სარტყელთა დეკორის წინააზიური პარარელები – ურარტული, ჩრდილო-დასავლეთი ირანული, ლურისტანული. პარალელთა შორის გათვალისწინებულია როგორც საკუთრივ სარტყელები, ასევე ლითონის ჭურჭელი, გლიპტიკა და ქვის რელიეფები.

- ბორჯომის ხეობის ჭვირული დისკოები და მისი ეგეოსური პარალელები (2015-2016), ანა პლაიაზილი

2015 წელს განხორციელდა ნაშრომის ერთი ნაწილი. ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილი II ათასწლეულის შუა ხანით დათარიღებული ბრინჯაოს ჭვირული დისკოების შედარებითმა სტილისტურმა ანალიზმა ეგეოსური, კერძოდ კი კიკლადური კულტურის ე.წ. ”ტაფებთან” შესაძლებლობა მოგვცა, დაგვედასტურებინა მათ ცალკეულ ელემენტთა იდენტობა და მთლიანობაში მათი მსგავსი კომპოზიციური სტრუქტურა. ასევე, შესწავლილ იქნა ბორჯომის ხეობის დისკოებისა და კიკლადური ”ტაფების” ”დეკორის” ცალკეულ ელემენტთა სემანტიკა, რამაც მათი მსგავსება ამ კუთხითაც დადგენისათვის სტილისტური და სემანტიკური ანალიზის შედეგების შეჯერება არქეოლოგიურ, ისტორიულ, ეთნოლოგიურ და სხვ. მონაცემებთან.



1.2. შუა საუკუნეების არქიტექტურა

- ეკის საფარცვანის მაცხოვრის ჯვრის უცნობი ეკლესია (2014-2015),
ორიენტირებული

საფარცვანის მაცხოვრის ჯვრის სახელზე აგებული არქიტექტურული კომპლექსი სოფელ ეკიდან დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით, ძველ სასაფლაოზე განთავსებული. ეკლესია კომპლექსის მთავარი ნაგებობაა. კვლევის ამოცანას ტაძრის დათარიღება და ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების გზაზე მისთვის სათანადო ადგილის მიჩნა წარმოადგენდა. ეკლესიის გეგმის კომპოზიციის, ტაძრის პროპორციების, სივრცითი პლასტიკის, მშენებლობის ტექნიკის, წყობის ხასიათისა და ფასადების მხატვრული გადაწყვეტის ანალიზის საფუძველზე ის XIII-XIV სს. მიჯნით თარიღდება. ეკლესიის მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ მისი სივრცითი-კომპოზიციის უხვეულობა გამოძახილს პპოვებს სამეგრელოს რეგიონში არსებულ თავისებური ხასიათის მატარებელ ხუროთმოძღვრულ ძეგლებთან, რაც ამ მხარის განსხვავებული, კომპოზიციური გადაწყვეტისა და სივრცითი განცდის მაჩვენებელია.

- წმ. ნინოს და წმ. მირიან მეფის სვეტიცხოველი /გარდამავალი თემა/,
თამაზ სანიპირო

შესრულებულია თემის უმეტესი ნაწილი. ნაშრომში არქეოლოგიური და ისტორიული მასალების ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომ პირველი სვეტიცხოვლის ტაძრის (IV ს-ის 2-30-იანი წლები) გეგმა და სტრუქტურა თითქმის სრულად იმეორებდა წარმართული (მზის) ტაძრების ზოგად ფორმებს. ვარაუდი დასაბუთებულია ქვეყანაში იმდროინდელი სარწმუნოებრივი ვითარებით და ილუსტრირებულია სათანადო გრაფიკული ჩანახატებით (რეკონსტრუქციებით).

- გელათის ღმრთისმშობლის შობის ტაძრის ლიტურგიული გეგმარება გვიანი შუა საუკუნეების წერილობითი წყაროებისა და არსებული მასალის მიხედვით (2015-2016), ნაფალია ჩიტიშვილი

მუშაობის პირველ ეტაპზე მოხდა გელათის მონასტრის შესახებ არსებული ცველა წერილობითი წყაროს (როგორც ისტორიული დოკუმენტების, ასევე რუს ელჩთა და ევროპელ მოგზაურთა აღწერილობების) თავმოყრა, მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგება და ისტორიის საერთო ხაზის ჩვენება. მასზე დაყრდნობით სრულად წარმოჩნდა ის გზა, რომელიც გაიარა მონასტერმა და რა ცვლილებებიც განიცადა ტაძრის სხვადასხვა ლიტურგიული ხასიათის აღჭურვილობებმა (როგორიცაა ტრაპეზი, კანკელი, სამდვდელმთავრო საყდარი, პატრონიკე). განხორციელდა დღემდე შემორჩენილი სამდვდელმთავრო საყდრის, კანკელის და სხვა აღჭურვილობების დეტალური აღწერა და ფოტოფიქსაცია.

- ეკის ნათლისმცემლის მონასტერი (2014-2015), ციცინო ჩაჩხუნაშვილი ეკის ნათლისმცემლის მონასტერში სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს (2014-2015 წწ) დღემდე უცნობი არქიტექტურული დეტალები და წარწერის ფრაგმენტები გამოვლინდა. წლიური ოქმის ფარგლებში წარმოდგენილია წინასწარი დასკვნები ეკლესიის თარიღისა და მისი თავისებურებების შესახებ. მომავალში გაგრძელდება სამუშაოები ახლად გამოვლენილი მონაცემების გათვალისწინებით. ეკის ნათლისმცემლის ეკლესია დარბაზული ნაგებობაა აღმოსავლეთით შეერილი აფსიდით და კარიბჭით დასავლეთიდან. მისი არქიტექტურა გამოირჩევა გარკვეული ინდივიდუალობით. ძველ ქართულ არქიტექტურაში იშვიათია ეკის ეკლესიის ზოგიერთი არქიტექტურული დეტალის პარალელი. მაგ., კონქის თავზე აღმართული შუბლის არქი გაჭრილი სარკმლები და კარიბჭის გრძივი კედლების ორ-ორი პარალელურწირთხლებიანი დიდი სარკმელი XIII-XIV სს-ის დამახასიათებელი ორნამენტული მორთულობით. ნაგებობის ძირითადი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს მის არქიტექტურულ სახეს, სავარაუდოდ, გარდამავალი ხანის გვიან პერიოდს, IX ს-ის დასასრულს და X ს-ის დასაწყისს განეკუთვნება; მასზე აღრინდელია შენობის ქვედა კორპუსის აგურის წყობა; XIII-XIV სს-საა დას. კარიბჭე, სამრეკლო და სასახლე. ოდნავ მოგვიანებით უნდა მოეხატათ ეკლესია (კარიბჭითურო). მოხატულობისგან მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. ეკლესიას ეტყობა გვიანი შუა საუკუნეების განახლების კვალი.

- ჰუჯაბის ტაძრის გეგმა და შიდა სივრცე და მათი მიმართება XII-XIII და XIII-XIV საუკუნეების ტაძრებთან, შეთებან აბაშიმე-დადიანი

ჰუჯაბის ჯვარუმბათოვანი ტაძარი მკვლევართა მიერ XII-XIII სს-ის მიჯნისა და XIIIს-ის I ხახვარის ე.წ. “ბეთანია-ქვათახევის” ჯგუფის ტაძრების პარალელად სახელდება. ამ ხუროთმოძღვრული ტიპის განვითარების “ჯაჭვში” ჰუჯაბი ერთ-ერთი ბოლოში მდგომი ტაძრია. ის XIIIს-ის პირველ მეოთხედში უნდა იყოს აგებული. ჰუჯაბის ტაძრის ხუროთმოძღვრება ერთგვარად გარდამავალი ხასიათისაა, რაც მკაფიოდ იკვეთება შიდა სივრცის გადაწყვეტაში, სადაც მთავარი სივრცეში ჯვრის გამოკვეთაა. ჯვრი ინტერიერშიც და შესატყვისად, გარე მასებშიც მძლავრად იკითხება. გარდამავლობა ვლინდება ტაძრის გეგმაში, სივრცით-მოცულობით გადაწყვეტაში, სარკმელთა განლაგებაში და სხვა. გუმბათის სიმაღლის თითქმის გატოლება მის ქვედა, ჯვრულ კორპუსთან, “ბეთანია-ქვათახევის” ჯგუფის ეკლესიების ერთ-ერთი სახასიათო ნიშანი, ჰუჯაბში ძირეულად შეცვლილია. მნიშვნელოვნადაა ამაღლებული გუმბათქვეშა, ჯვრული კორპუსი, საპირისპიროდ შემცირებულია გუმბათის სიმაღლე. ეს ნიშანი დამახასიათებელია შემდგომი ეპოქის, „საფარა-ზარზმის“ ძეგლთა ჯგუფისთვის, თუმცა არც ერთ მომდევნო პერიოდის ტაძარში არ გვხვდება

ასეთი დაბალი გუმბათი. როგორც ჩანს, ცვლილებები ახალი ხუროთმოძღვრული კონცეპციის ჩამოყალიბებისთვის იწყება ნაგებობის არქიტექტურული სხეულის სტრუქტურის ცვლილებებიდან. პუჯაბის ხუროთმოძღვარმა დასახა გზა ახალი სტილის ჩამოყალიბებისკენ, მან ახალი დამოკიდებულება შექმნა ტაძრის ორ, მთავარ სივრცით მოცულობას შორის, თუმცა საეკლესიო მშენებლობაში ეს არ იყო ახალი. ჯვრის მკლავების მკაფიოდ გამოყოფა და თავისუფლად გაშლა სივრცეში “სამთავის-სამთავროს” დროინდელ ტაძართა აღნაგობას ახასიათებდა, რაც მიიღწევა მკლავებშორისი სივრცეების მნიშვნელოვანი დადაბლებით ჯვრის მკლავებთან შედარებით, ქვედა ჯვრული კორპუსის ერთიანად გაზრდით სიმაღლეში და დაბალი გუმბათით. პუჯაბის ტაძრის შემთხვევაში სურვილი არქიტექტურულ აღნაგობაში ამ ორი ძირითადი მოცულობის (ჯვრული კორპუსისა და გუმბათის) სამთავისისეული შეფარდების მიღებისა იმდენად დიდია, რომ ხუროთმოძღვარმა უარი თქვა თავისი ეპოქის მთავარ ნიშანზე – ტაძრის გუმბათისა და ჯვრული კორპუსის ტოლობაზე, როდესაც გუმბათი დომინირებს სივრცეში. თუმცა ეს დამოკიდებულება პუჯაბის ტაძარში ცოტა უხეშად გამოიხატა და ერთგვარად, ჩამოუყალიბებელ სახეს ატარებს. დაბალი გუმბათისა და მაღალი ჯვრული კორპუსის პროპორციული თანაფარდობის დარღვევა განსაკუთრებით შეიმჩნევა ინტერიერში. გუმბათი შეიძლება ითქვას, “მოწყდა” ძირითად სივრცეს და სივრცით-მოცულობებს შორის მთლიანობა დაირღვა. პუჯაბის ხუროთმოძღვარი, ვერ ელევა თავისი ეპოქის არქიტექტურის მიღებულ ნორმებს, უმეტესად ეს ტაძრის დეკორაციული გაფორმების სისტემას ეხება, მაგრამ ხუროთმოძღვრული ჩანაფიქრის თვალსაზრისით მას ახლებური გააზრება და დამოკიდებულება შემოაქვს.

- ზემო სვანეთის საეკლესიო ნაგებობათა ფასადების გაფორმება (2015-2016), გიორგი პატაშვილი

ზემო სვანეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრება, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგები საუკუნეთა განმავლობაში მჭიდრო კავშირში იყო დანარჩენი საქართველოს კულტურულ ცხოვრებასთან და მუდამ ნაზიარები წარმოჩენილი სიახლეების. თუმცა, სვანი ხუროთმოძღვრები ყველანაირ სიახლესთან ერთად ცდილობდნენ თავისებურად გადაეთამაშებინათ და გაეაზრებინათ ესა თუ ის მოტივი. ზემო სვანეთის ეკლესიების ფასადების შესწავლისას გამოვლინდა რიგი ნიშანები რომელიც აერთიანებს მათ საქართველოს სხვა რეგიონების ხუროთმოძღვრებასთან და რომელიც გამოარჩევს მათ და მკაფიო ინდივიდუალურ, ადგილობრივ ტრადიციაზე აღმოცენებულ ხასიათს ატარებს. აქ ვხვდებით ზოგი თემის ძალზე ორიგინალურ გადათამაშებას, რომელიც, ერთი შეხედვით, ნაცნობი, თუმც, იმავე დროს უჩვეულოვად. ამიტომ სვანეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს შეა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების საერთო სურათის სრულად წარმოსადგენად.

- IX-XIII საუკუნეების გარეჯის მრავალმთის უძველესი მონასტრების არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნაწილის ფორმირების თავისებურება: სადაცუდებულო კომპლექსების სტრუქტურაში ლიტურგიული სივრცის ინტეგრირების ერთი პრობლემის გარკვევის მცდელობა, დაგირ ჩიხლაძე გარეჯის მრავალმთის სამონასტრო არქიტექტურას არა მარტო ნაგები ხუდოთმოძღვრული ფორმულების გამოირჩება ახასიათებს, არამედ მათი ახლებულად გააზრებითაც გამოირჩევა. ერთ-ერთი ასეთი თემა სადაცუდებულო კომპლექსის სტრუქტურაში ლიტურგიული სივრცის, საკურთხევლის ნაოსის გარეშე ინტეგრაციის პრობლემა: კომპლექსის სტანდარტული კომპონირების გვერდით, რომელშიც ეკლესია მთავარ, სამეურნეო და სხვა ქაბების მგავსად სრულფასოვან ელემენტადაა შესული, გვხვდება კომპლექსის კომპონირების განსხვავებული მოდელი, რომელშიც ეკლესია ნაოსის გარეშე უშუალოდ

მთავარ ქვაბს უკავშირდება. ჩატარებული კვლევის შედეგად ვივარაუდეთ, რომ კომპლქსის კომპონირების ასეთი გადაწყვეტა არა გარედან შემოტანილი ხერხია, არამედ გარეჯის ადრეული პერიოდის მონასტრების სადაც უდებულო კომპექსების სტრუქტურირების ორიგინალური გადაწყვეტა. მოვნიშნეთ ამგვარი კომპონირების უძველესი ნიმუშები, განვითარების ძირითადი ხაზი, მისი განშტოებები, გარკვეული ქრონოლოგიური ჩარჩოები. გარდა ამისა განვიხილეთ კომპონირების ამ და სტანდარტული ხაზების ურთიერთმოქმედება მონასტრების ადრეული სახის ჩამოყალიბების პროცესში.

- **ზღვისპირა ქალაქები და დასავლეთ საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობები (2014-2016), 0რ0ნა მანია**

ნაშრომი საქართველოს ზღვისპირა ქალაქების და დასავლეთ საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობების აღნუსხვას, არქიტექტურული თავისებურებების კვლევას და მათი ისტორიული კონტექსტის გამოვლენას ისახავს მიზნად. გვიან რომაულ და ადრებიზანტიურ ხანაში დასავლეთ საქართველოში საფორტიფიკაციო ნაგებობების მთელი ჯაჭვი შეიქმნა. ბიზანტია-სპარსეთის ომის დროს დასავლეთ საქართველოს ციხეები თავისი მდებარეობით განსაკუთრებული მნიშვნელობის თავდაცვით ნაგებობებს წარმოადგენდნენ. საფორტიფიკაციო ნაგებობების შემდგომი არქიტექტურული ისტორიაც მნიშვნელოვანი კვლევის საგანს წარმოადგენს. შეგროვილი მასალის შეჯერების საფუძველზე დასავლეთ საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობების არქიტექტურული და ისტორიული ლირებულების გამოვლენა ნაშრომის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

- **ბოლნისის სიონის თავდაპირველი არქიტექტონიკის „რესტავრაცია“ (2014-2015), ნუბჩარ ალზაზიშვილი**

დასრულდა მუშაობა ნაშრომზე, რომელიც მიზანად ისახავს ბოლნისის სიონის თავდაპირველი სტრუქტურის აღდგენის ცდას და, რომელიც განსხვავადება სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე მიღებული ვარიანტისგან.

1.3. შუა საუკუნეების ძვისა და ლითონის ქანდაკება



- **ტაო-კლარჯეთის რელიეფები (2015-2016) თამარ ჩუნდაძე**

შესრულებულია ორწლიანი თემის ნაწილი, რომელშიც განხილულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ოპიზისა და ტბეთის ტაძრების საქტიტორო რელიეფები, ხახულის ღმრთისმშობლისა და ოშკის წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძრების ხუროთმოძღვრული სკულპტურა, მათ შორის, ოშკის ინგერიერში აღმოჩენილი, ამჟამად ერზერუმის მუზეუმში დაცული მემორიალური სტელების რელიეფები.

- **ვეხზე მდგარ წმინდა მეომართა თემატიკა რაჭის ქვის ქანდაკებაში (მოტყიარისა და მრავალძალის ეკლესიათა რელიეფები), თამარ დადიანი**

რაჭაში წმინდა გიორგის ამსახველი რამდენიმე მნიშვნელოვანი რელიეფური სცენაა შემორჩენილი. წმინდა მოწამის რაჭაში შექმნილი სახეები და იკონოგრაფიული დეტალები გადაწყვეტის ორიგინალურობით იყორობს

უურადღებას, რაც გამოარჩევს ამ რეგიონის სკულპტურულ ნაწარმოებებს წმინდანის სხვა, შედარებით უფრო კანონიკურ გამოსახულებებისაგან. რაჭაში ამხედრებული წმ. გიორგის გამოსახულებები შემოგვრჩა ჯოისუბნის (X ს.), გადაღმა გენდუშის (X ს.), ნიკორწმინდის რელიეფებზე (XI ს.); ფეხზე მდგომი წმ. გიორგის გამოსახულებები კი მხოლოდ რაჭის ორ ძეგლზე გვაქვს – მრავალძალისა (XI ს-ის დასაწყისი) და ზნაკვის (მოტყიარის) (XI ს.) ეკლესიათა ფასადებზე. მრავალძალში წვერიანი წმ. გიორგის იშვიათი გამოსახულებაა, მოტყიარის (ზნაკვის) რელიეფი კი წმინდანს ჰედური ხატებისთვის ჩვეული იკონოგრაფიით წარმოგიდგენს. ზნაკვის რელიეფური სცენა სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ ვ. სილოგავას წერილით არის ცნობილი, რომელშიც ძირითადი უურადღება წარწერებზეა გამახვილებული. წარწერა პალეოგრაფიულად ზუსტად თარიღდება XI საუკუნის დასაწყისით. ამ თარიღს რელიეფის სტილური ანალიზიც ადასტურებს.

- **ადრეული შუა საუკუნეების ქართულ ქაჯვარათა ორნამენტული რეპერტუარი (2015-2016), პიტი მაჩაბელი**

ორწლიანი თემის შესრულებულ ნაწილში (“ჯვრიანი მედალიონის მოტივი ქაჯვარათა დეკორში”) გამოკვლეულია ადრეული შუა საუკუნეების რელიეფებში გავრცელებული მედალიონში ჩაწერილი ტოლმკლავა ჯვრის ორნამენტულ-სიმბოლური თემა. აღნიშნული თემა განხილულია თანადროულ ქართულ არქიტექტურულ რელიეფებთან, ბიზანტიურ და აღმოსავლურქრისტიანულ მხატვრულ ნაწარმოებთა დეკორთან მიმართებაში. ღრმად გააზრებულ თეოლოგიურ საფუძველზე აგებულ ქაჯვარათა რელიეფური დეკორის ყოველი ელემენტი საკულტო ძეგლის იდეურ-ემოციური შინაარსის გახსნას ემსახურება. მედალიონში ჩაწერილი ჯვრის ორნამენტულ-სიმბოლური მოტივის კვლევა რელიეფების მხატვრული და აზრობრივი მხარის შესწავლას ეფუძნება, რისთვისაც მოხმობილია მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროები და მხატვრული ნაწარმოებები. თემა საკულტო ძეგლების დეკორის საერთო კონცეფციასთან კავშირში არის განხილული.

- **საქტიორო რელიეფი უგელაანთუბნიდან, ქრისტინე საბაშვილი**

რელიეფური ფილა წარმოადგენს ტანას ხეობაში მდებარე სამნავიანი ბაზილიკის (IX-X სს.) შემკულობას, რომელიც ფასადზე საკურთხევლის სარკმლის თავზე იყო მოთავსებული (ამჟამად დაცულია საქ. ხელოვნების მუზეუმის საცავში). ფილაზე წარმოდგენილია ეკლესიის მოდელი და მის ორსავ მხარეს ქტიორები და ანგელოზი. ფილა იკონოგრაფიული გადაწყვეტილ საკმაოდ საინტერესო (ჩვენთვის ცნობილ საქტიორო რელიეფებზე ამგვარ კომპოზიციაში ანგელოზის გამოსახულია უცნობია) და გულდასმით კვლევას მოითხოვს, მითუმეტეს რომ დღემდე ძლიერ დაზიანებული სახით არის ჩვენამდე მოღწეული და მასზე გამოსახული პირების იდენტიფიცირება ან რელიეფის ზოგადი მახასიათებლების გადაჭრით განსაზღვრა ძნელია. წინასწარი კვლევით სავარაუდო თარიღად მეათე საუკუნის მეორე ნახევარი მიგვაჩია.

- **შუასაუკუნოვანი ქართული ოქრომჭედლობა ევროპული და აღმოსავლეთქრიასტიანული ხელოვნების მიმართებით (2014-2016), თმიმურაზ სამგარელიძე**

ნაშრომში წარმოდგენილია სათანადო მასალა, შერჩეულია ჭედურობის სხვადასხვა ნივთები, განხილულია იკონოგრაფიული, იკონოლოგიური, სტილისტური პრობლემენი. ნაშრომი სამ წლად არის დანაწილებული – დაწყებულია 2014 წელს და დასრულდება 2016 წელის ბოლოს. ტექსტს დაერთვის მდიდარი საილუსტრაციო მასალა.

- XII-XVI საუკუნეების ქართული საფასადო ქანდაკება, მათი განხილულია XII-XVI საუკუნეების ქართული ქანდაკების ცალკეული ძეგლები, მათი თავისებურება, თემატიკა, გამომსახველობითი ხერხები, დამახასიათებელი სტილური ნიშნები. XII-XVI საუკუნეებში ქართული ტაძრების გარე კედლებზე ერთიანი იდეით გამოხატულ ფასადთა გამამთლიანებელ სიუჟეტურ კომპოზიციებს ვეღარ ვხვდებით. ისინი ნაკლებადაც იქმნებოდა და, ნაწილობრივ, უმთა სიავის გამოც, ვერ შემორჩა (განსაკუთრებით XIV-XV სს.). ამ პერიოდის შემორჩენილ ეკლესიათა (ფიტარეთი, კაზრეთი, ერთაწმინდა, წუნდა, წუდრულაშენი, დმანისის სიონი, მაღალაანთ ეკლესია, საფარა, სადგერი, ჩითახევის სამრეკლო და სხვ.) ფასადებზე უმტკიცებულ ერთმანეთთან დაუკავშირებელი, მხოლოდ ცალკეული რელიეფური კომპოზიციები თუა სახილველი. XII-XVI საუკუნეების საფასადო დეკორის უმთავრეს ნიშანთაგანია რელიეფური სკულპტურის მონუმენტალიზაციის დაკარგვა – კედლის სიბრტყეზე მათი დამცრობილი როლი; აგრეთვე ფიგურულ რელიეფთა მოჭარბებულად დეკორატიულ-ორნამენტული ხასიათი. ფასადზე, კედლის არქიტექტურულ მთლიანობაში ჩაკარგული, ადგილს “ძლივს მორგებული” თუ ზოგჯერ თავისებურ აუკუნდებულ, უხვ ორნამენტაციაში ხალიჩისებრ “ჩაქსოვილ-ჩაქარგული” ფიგურული რელიეფები თვალის ერთი შევლებით ზოგჯერ ვერც აღიქმება. არაერთგვაროვანია ამ ეპოქის ქვის მქანდაკებლობის სტილიც, ოსტატობის ხარისხი, თუმც ამ ძეგლებს შორის ხშირად ვხვდებით საკმარისად დახვეწილ პლასტიკასა და ქართული შუა საუკუნეების აყვავების ხანაში შექმნილ სკულპტურის ნიმუშთა ხაზის გაგრძელებასაც (ძირითადად XII-XIII სს.-ში); და მაინც, ამ ხანის საუკეთესო ძეგლებშიც კი უკვე საგრძნობია სკულპტურის შინაგანი ძარღვის, ცოცხალი მუხტის შესუსტებული ძალა.

14. შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა



- აფსიდაფლური პროგრამები სვანეთის მოხატულობებში (2015-2016), მარინე შენია

ნაშრომის მიზანია იმ სქემების გაანალიზება, რომელიც ზემო და ქვემო სვანეთის ეკლესიათა საკურთხევლის მოხატულობაში დასტურდება. ამ ეტაპზე დასრულებულია მასალის თავმოყრა და მთავრდება სპეციალური ლიტერატურის დამუშავება (ნაშრომები, რომელიც ეძღვნება საკურთხევლის მოხატვის თავისებურებებს ბიზანტიურსა და ქართულ კედლის მხატვრობაში).

- იკვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა, მათი გადავანიშვილი

ნაშრომში განხილულია იკვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობის ცალკეული იკონოგრაფიული დეტალები. სახელდობრ, მხატვარობაში ასახული საკმაოდ უცნაური მთათა გამოსახულებანი. “შობის” სცენაში ჩნდება ბიზანტიური ხელოვნებისათვის სრულებით უჩვეულო მთის ფესვებიანი გამოსახულება; თავისებურება, რომელიც ნაშრომში XII საუკუნის კოსმოგონიური ცოდნითაა ახსნილი.

- კირანცის ტაძრის მოხატულობის პროგრამის თავისებურებები, მარინე გულია, მზია ჯანჯალია

კირანცის მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობა ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი დღევანდელი ჩრდილოეთი სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლთა შორის. ის სამეცნიერო საზოგადოებისთვის ნ. ტიერის წერილითაა ცნობილი, რომელშიაც მოხატულობა თამარის ხანასაა მიკუთვნებული. ამჟამინდელი კვლევისას მოხატულობა განსხვავებულად იქნა ინტერპრეტირებული – იდენტიფიცირდა არაერთი იკონოგრაფიული თემა, გაიმიჯნა მხატვრობის ფენები და ოსტატთა ხელწერა. მკაფიოდ გამოჩნდა, რომ მოხატულობა შინაარსით ძალზე მოწინავე, ხოლო სტილით საკმაოდ რეტროსპექტულია. სწორედ საქართველოსთვის იშვიათი თემების, მათი იკონოგრაფიული თავისებურებებისა და ტოპოგრაფიის საფუძველზე მხატვრობა ახლებურად დათარიდდა და XIII საუკუნის II ნახევარს, უფრო კი XIII საუკუნის დასასრულს იქნა მიკუთვნებული.

- დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის მოწამეთას ეპლესიის მოხატულობის დათარიდების საკითხი, თინათინ ხოშტარია

დავითგარეჯის უდაბნოს მონასტრის მოწამეთას ეპლესიის კედლის მხატვრობის თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. გ. ჩუბინაშვილის მიხედვით, მხატვრობა ფერადოვნებით უდაბნოს მთავარი ეპლესიისა და საოსტიონეს მოხატულობებს ემსგავსება. შ. ამირანაშვილი მას XI საუკუნეს მიაკუთვნებს, გ. აბრამიშვილი მოხატულობის ერთ ნაწილს XI საუკუნით, მეორეს - XII-XIII საუკუნეებით ათარიდებს, რასაც ა. ვოლსკაიაც ეთანხმება. დ. გორდევევის აზრით მოწამეთას ეპლესიის ფრესკები XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე ადრინდელი არ უნდა იყოს. მოხატულობის მხატვრული ანალიზისა და სხვადასხვა მოხატულობებთან შედარების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოწამეთას ეპლესიის მხატვრობა XIII საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება. ორი სავარაუდო პერიოდის XI და XIII საუკუნეების მხატვრული ფენების თანაარსებობას კი გამოვრიცხავთ.

- ქრისტიანულ ფერთა სიმბოლიკა (2014-2015), ასმათ ოძროპიტრიმე

ნაშრომი წარმოადგენს თემის: „წითელი ფერის სიმბოლიკისათვის“ (1989 წ. „მაცნე“ №3) გაგრძელებას, რომელშიც წარმოდგენილი იყო მცდელობა წითელი ფერის მხატვრული და სიმბოლური საზრისის გარკვევისა. ამჟამდ დაემატა სპექტრის ყველა ფერის შესაძლო ინტერპრეტაციები. გამოყენებულია ძირითადად საღვთისმეტყველო წყაროები. გარდა წმინდა სპექტრული ფერების სიმბოლიკისა განხილულია აგრეთვე მასალათა სიმბოლური ჟღერადობაც (ოქრო, მარგალიტი, მთის ბროლი, პატიოსანი თვლები და ა. შ.).



15. შუა საუკუნეების ხატონა
და მინანძრის ხელოვნება

- წილკნის ხატი, ლეილა ხუსპივაძე

წილკნის დვორისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი სქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები სიწმინდეა. წილკნის ხატი ქართული ხატწერის უადრესი და

იშვიათი ნიმუშია – მისი ადრეული ფერწერული ფენა IX საუკუნისაა, შესრულება – ცვილოვანი, ენკაუსტიკური ტემპერა. სხვა ფერწერული ფენა XIII საუკუნეს მიეკუთვნება, ამ დროისაა ხატის ასომთავრული წარწერაც. ხატი ფასეულია თავისი მორთულობითაც – ჭედურულობით (XVI, XVIII სს) და განსაკუთრებით ტიხერული მინანქრებით, რომელთა თარიღი ნაშრომში განისაზღვრა XII ს-ის პირველი ნახევრით. მინანქრის თარიღის დაზუსტება და აგრეთვე ახალი პარალელების მოძიება გახდა საფუძველი იმისა, რომ კვლავ მიგბრუნებოდი მრავალი წლის წინ ჩემს მიერ შესწავლის მასალას წილკნის ხატის შესახებ.

- მდგიმევის მონასტრის კანკელის ხატები (2014-2015),
ეთერ ეზიშერაშვილი, 6069 ციციშვილი

სამეცნიერო ოქმა ორ ეტაპად შესრულდა: 2014 წელს დამუშავდა მდგიმევის მონასტრის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფია და საარქივო მასალა. 2015 წელს მოხდა ხატების სამეცნიერო კვლევა. სტილურ-იკონოგრაფიული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მათი შესრულების თარიღი – XVIII საუკუნის მეორე ნახევარი (ამაზე მეტყველებს საშემსრულებლო მანერა, ლტოლვა ე.წ. ილუსტრული ხელოვნებისაკენ, კათოლიკური სამეცნიერო შემოსული იკონოგრაფიული დეტალები და ტიპები, ანტურაუის გადაწყვეტა, კოლორიტი და ა.შ.). საგულისხმოა, რომ მდგიმევის მონასტრის კანკელის ხატები სტილური თვალსაზრისით სიახლოვეს ამჟღავნებენ XVIII საუკუნის მინიატურასთანაც, რომელიც თავის მხრივ, ასევე დასავლეთევროპული მხატვრული ტენდენციების გამზიარებელია. კვლევისას გამოვლინდა, რომ გარდა მხატვარ ნიკოლას მელიდანაშვილისა, რომელიც ხატების (ფერიცვალება, ხარება) წარწერებში დასტურდება, კანკელის ხატებზე სხვა ოსტატებსაც უმუშავიათ. ამაზე მიუთითებს ცალკეული სცენების განსხვავებული სტილი და საშემსრულებლო ხერხები. სავარაუდოდ, ხატები ოსტატთა მცირე ჯგუფის მიერაა შესრულებული, თუმცა წერის მანერაში განსხვავების მიუხედავად, ერთიანი სტილი შენარჩუნებულია. კვლევის შედეგები საგულისხმო ცოდნის მომცემია გვიანი შუა საუკუნების სახვითი ხელოვნების შესახებ, რაც მდგიმევის კანკელის ხატების კვლევის სამომავლოდ გაგრძელების საშუალებას იძლევა. ხატებზე მუშაობამ სახვითი ხელოვნების აქამდე უცნობი, თავისი დროის მეტად საინტერესო ნიმუშების წარმოჩენას შეუწყო ხელი.

1.6. პატრონაჲი, პულტი და ხელოვნება

- ხატი სამონასტრო საგანძუროს კონსტრუირებაში
(ხობის მონასტრის მაგალითზე), 6069 ჭიშინაძე

კვლევის საგანია შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სულიერი სავანის - ხობის მონასტრის კუთვნილი საკრალურ-ლიტურგიკული ნივთები (ჯვარ-ხატები, ლიტურგიკული ჭურჭელი, წმინდა ნაწილები, ლუსკუმები და სხვ.) და მათი კულტურულ-იდეოლოგიური კონტექსტი. მონასტრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საღვთისმსახურო ჭურჭლისა თუ ჯვარ-ხატებით აღჭურვა ინდივიდთა მიერ ღვთისმაობისა და შემწირველ-მომგებელთა კომემორაციას ემსახურებოდა. მონასტრის კუთვნილი სიწმინდეები იმავდროულად, ამ მონასტრის სტატუსის დამკვიდრებასა და ავტორიტეტის ამაღლებას განაპირობებდა. სამონასტრო საგანძურთა შექმნა-განვრცობის მიღმა უნდა დავინახოთ კონკრეტულ პიროვნებათა, თუ სოციალურ ჯგუფთა იდეურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესები. საუკუნეთა განმავლობაში ხობის მონასტრის პატრონაჲი დიდებულთა, უპირატესად დადიანთა საგვარეულოს მიერ, რაც ტაძრის განვრცობა-დეკორირებასა და სიწმინდეებით გამდიდრებაში ვლინდება, მათი გავლენის და პოლიტიკური ძალაუფლების დასტურად

მოიაზრებოდა. ნაშრომში გაანალიზებულია თაყვანსაცემი ხატებისა თუ სიწმინდეთა ლუსკუმების შემოსვა-გამშვენიერების ისტორია. სამონასტრო სიწმინდეები და მათი კულტის დამკვიდრება-პოპულარიზაცია ზოგად კულტურულ და იდეოლოგიურ ჭრილში არის განხილული. სამონასტრო სიწმინდეები კოლექტიური მეხსიერების მნიშვნელოვანი ძეგლებია, რომელთა კომპლექსური შესწავლა მონასტრების ისტორიისა და რელიგიურ-კულტურული მნიშვნელობის სრულფასოვნად გააზრებისათვის მნიშვნელოვანი ფენომენია.

1.7. კულტურათა დიალოგი



- თბილისის კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების არქიტექტურა (XIX-XX საუკუნეები), ნათია ნაცვლიშვილი**

ნაშრომის მიზანს თბილისის კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების არქიტექტურის შესწავლა წარმოადგენდა. ის ასევე ითვალისწინებს საეკლესიო არქიტექტურისა და ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მიმართების კვლევას. ნაშრომში განხილულია თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს, დვთისმშობლის მიძინების რომაულ-კათოლიკური ეკლესიების, კუკიისა და სოლოლაკის სასაფლაოების რომაულ-კათოლიკური სამლოცველოების და თბილისის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის არქიტექტურა და მათი მშენებლობის ისტორია. კვლევა მომზადდა, როგორც საველე სამუშაოს ჩატარების, ასევე მრავალრიცხოვანი საარქივო მასალის დამუშავების შედეგად. ის მომავალში მთლიანად შევა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მომზადებულ წიგნში „არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918)“.

- თბილისის სურბ გევორქის მოხატულობა, თამარ ხოსროშვილი**

სურბ გევორქის ეკლესიის მოხატულობა ძალზე არაერთგვაროვანია, მასში სხვადასხვა პერიოდისა და სტილის გამოსახულებებია თავმოყრილი. დიდი ხნის მანძილზე მოხატულობის უმეტესი ნაწილი XX საუკუნის შუა ხანებში შესრულებული უსახური ფერწერით იყო დაფარული. 2013 წელს სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებისთანავე ეს ფენა მოიხსნა და მის ქვეშ უფრო ადრეული გამოსახულებები გამოვლინდა. მათგან ყველაზე ადრეული XVII საუკუნით თარიღდება, დანარჩენი XIX-ს განეკუთვნება, ზოგიც XX-ის დასაწყისს. არსებობს მოსაზრება, რომ სურბ გევორქის მოხატვაში საქართველოში მოღვაწე მხატვრებს, პოვნათანიანთა გვარის წარმომადგენლებსაც მიუძღვით წვლილი, თუმცა ეს ვარაუდი ამ ეტაპზე ვერაფრით დასტურდება.

- თბილისის XIX საუკუნის სომხური ეკლესიები, მანონ ლილუაშვილი**

კვლევამ აჩვენა, რომ სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიების მშენებლები, კონფესიური განსხვავებულობის წყალობით, არქიტექტურული ფორმების არჩევანში მართლმადიდებლური ეკლესიების მშენებლებთან შედარებით უფრო დამოუკიდებლები იყვნენ და იმპერიის საეკლესიო ხუროთმოძღვრების გავლენას თითქმის არ განიცდიდნენ. თბილისის XIX საუკუნის სომხური ეკლესიების

არქიტექტურა დიდწილად აგრძელებს გვიანი შუა საუკუნეების სომხურ და ქართულ ხუროთმოძღვრულ ტრადიციებს და ნაკლებად იღებს ინოვაციებს.

- ისლამი და ქართული სახვითი ხელოვნება (2014-2015), 03ხა ხშპივაძმ ნაშრომის მიზანია აღმოსავლური ხელოვნების საკითხებისა და მისი მხატვრული პრინციპების შესწავლა; თუ როგორ არიან ისინი სახეცვლილი ადგილობრივ ნიადაგაზე; მათი ზეგავლენით, გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, თუ რა მხრივ წარიმართა ხელოვნების სხვადასხვა დარგის ჩვენივე მხატვრული შემოქმედება, უცხოური გავლენები რაგვარად არის დაფლული ქართული სახვითი ხელოვნების ცალკეულ დარგებებში – ხენაწერი წიგნის დასურათებაში (ძირითადად საერო მინიატურაში), კედლის მხატვრობის საქტიტორო პორტრეტში და ჭედურ ხელოვნებაში.



1.8. ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების ბზა

- ქართული საბავშვო წიგნის მხატვრობა - 1910-იანი წწ. (2013-2015) მარიამ გარებილაძე

თემის ფარგლებში მოხდა 1910-იან წლებში შექმნილი ქართული საბავშვო წიგნის მხატვრობის განვითარების ისტორიაზე თვალის მიღებაში. გამოიკვეთა, რომ ამ დროიდან საფუძველი ეყრება მხატვრულად გაფორმებული ქართული საბავშვო წიგნის განვითარებას. ნაშრომი მიმოიხილავს ამ ორ ათწლეულში გამოცემული საბავშვო წიგნებისა და უკრნალების მხატვრობას; განხილულია მხატვრების: შ. ქიქოძის, ა. ქუთათელაძის, დ. კაკაბაძის, პ. ლიბრაძის და სხვათა მიერ გაფორმებული წიგნები.

იკვეთება, რომ 1910-იანი წლების გამოცემები მრავალრიცხოვნებით არ გამოირჩევა, მაგრამ მეტად საყურადღებო და საინტერესოა მხატვართა მხრიდან პრობლემატური მიღგომების თვალსაზრისით. 1920-იანი წლების საბავშვო წიგნის მხატვრობაში გამორჩეულია ვ. სიდამონ-ერისთავის, ა. ქუთათელაძის, ი. გამრეკელს, ო. შმერლინგის, დონის (დავით ნაცვლიშვილის) მიერ გაფორმებული წიგნები. (მ. მიქელაძე-ბაგრატიონისა და მ. ხუციშვილის „საბავშვო ბაილი”, 1925 წ.; ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარის „პირველი წიგნი”, 1927 წ.; ლ. კალანდაძის, პ. ლომაიას და ი. სიხარულიძის ანბანი - „პირველი სიტყვა”, 1929 წ. გამოცემული (გამოცემლობა „წითელი არმიელი”, ტფ. 1929; იონა ვაკელის „შარავანდედი”, ტფ., 1923; „აგიტქრონიკა 25 ოქტომბრის გარშემო” 1924 წ.; პ. კალაძის „ძახილი აღმოსავლეთის”, ტფ. 1927; „ქურდი”, ტფ. 1927; ე. მარკოვი „აბ-აბი”, ტფ. 1927; ს. კლიდიაშვილის „აზნაურ ლახუნდარელის უცნაური თავგადასავალი”, ტფ. 1927. ამ გამოცემების მიმოხილვიდან იკვეთება, რომ 1910-იან წლების საბავშვო წიგნის მხატვრულ გაფორმებაში წამყვანი ხდება ეროვნული ნიშნების წინა პლანზე წამოწევა.

- ახალი ქართული ფერწერა (1970-იანი წწ.-ის ჩათვლით), (2014-2015), დალი ლებანიძე

ნაშრომი მოიცავს XX საუკუნის ქართული ფერწერის დიდ მონაკვეტს – 1970-იანი წლების ჩათვლით. მასში მონიშნულია ის ძირითადი მიმართულებები,

რომელიც არსებობდა ამ პერიოდში და განხილულია მათი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლების შემოქმედება.

• **შეფასებით მსჯელობისათვის ვიზუალურ ხელოვნებაში** (კულტურათა მორისი ურთიერთქმედებისა და სინთეზის მნიშვნელობა ქართულ და მსოფლიო ხელოვნებაში), /გარდამავალი თემა/, ბობი ხოშტარია თემის ძირითადი პრობლემა მხატვრული წყობის ანალიზის საკითხები, გამომდინარე კონკრეტული მასალიდან, კერძოდ ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების სტრუქტურული დახასიათების აუცილებლობიდან, რომელსაც მოხდეს ახალი მეთოდოლოგიის გაფართოვება, ჯერ ქართულ მაგალითებზე (ქართული ხეროთმოძღვრება, ფრესკები), შემდგომ, მთლიანად კულტურასა და ხელოვნებაზე.

განიხილება ხელოვნების განვითარების გზა ძველი აღმოსავლეთიდან ევროპამდე - შეა საუკუნეების, რენესანსის..., რაც იძლევა ველფლინის - მთელისა და ნაწილის მიმართების ტიპოლოგიის შემდგომ დაზუსტებას და მთლიანად კვლევის მეთოდოლოგიის უფრო დაკონკრეტებას, რაც მის უფრო პრაქტიკული გამოყენების საშუალებას მოგვცემს.

• **შალვა ქიქოძის მხატვრობა (ავტოპორტრტი ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში), (2014-2016), ცისია პილამე**

ნაშრომში განიხილულია ავტოპორტრტის უანრი ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში ევროპულ ტრადიციასთან მიმართებით. სწორედ მოდერნიზმის ერთ-ერთი ჩნდება ავტოპორტრტის ძალზე მრავალფეროვანი და განსხვავებული ტიპები, რაკიდა ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა ხდება მხატვრებისთვის. ახალი მხატვრული ფორმების ძიებასთან ერთად ხდება შემოქმედის, ადამიანის ახალი, მოდერნისტული სახის ძიებაც. მხატვრები საკუთარ თავს სხვადასხვაგვარ ჭრილში ასახავენ. ავტოპორტრეტი მხატვრის სამყაროსადმი დამოკიდებულებისა ერთ-ერთი საუკეთესო გამომხატველი საშუალება ხდება. გამოსახულების ფსიქოლოგიური სიმძაფრე მატულობს, ინდივიდუალიზმის განვითარებასათან ერთად სულ უფრო უჩვეულო მხატვრული თუ თემატური ფორმები ჩნდება. ავტოპორტრეტი მოდერნისტული ხედვის პარადიგმად იქცევა. ნაშრომში განიხილულია შ. ქიქოძის, დ. კაკაბაძის, ვ. სიდამონ-ერისთავის, ლ. გუდიაშვილის, ე. ახვლედიანის და სხვათა ავტოპორტრეტები და მათი მიმართება ევროპულ ნიმუშებთან. თემის ირგვლივ მოძიებულია და დამუშავებულია ლიტარატურა, მოგროვილია პარალელური მასალა და ლიტერატურა.

• **ქართული სოციალისტური რეალიზმის საწყისები და მხატვრული იდენტობის ძიება, მზია ჩიხრამე**

ზოგადი მხატვრული ტენდენციები განიხილულია პოლიტიკური თუ სოციალური გარემოს ფონზე, შესწავლილია და 1930-1940-იანი წლების ქართული ხელოვნება. ამ პერიოდში მოღვაწე მხატვრები თუ ჯგუფად დაიყო: ისინი, ვინც სოციალისტური რეჟიმის პირობებში ქმნიდნენ სოციალისტური რეალიზმის ტიპურ ნამუშევრებს და ისინი, ვინც, მიუხედავად დიდი პოლიტიკური წნევისა, მაინც ახერხებდნენ მოქმედნათ, მხოლოდ მათვის დამახასიათებელი მხატვრულ-გამომსახველობითი ენა და საკუთარი იდენტობა.

• **ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედება მოდერნიზმის კონტექსტში, ნანა მირცხულავა**

ქეთევან მაღალაშვილის როლი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული პორტრეტული ხელოვნების, არამედ მთლიანად ახალი ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში. მან არსებითად შექმნა ქართული სახელოვნებო და მეცნიერული ელიტის უმაღლესი კრეატიულობით გამორჩეული ბრწყინვალე სახვითი მატიანე. მასთან სრულებით თვალსაჩინოა ძალიან მაღალი რანგის სწორედაც ევროპული ხარისხის პროფესიული სიმაღლე და ინდივიდუალური

გამორჩეულობა. როგორც თანამედროვედ მოაზროვნე მხატვარი ქ. მაღალაშვილი განიცდის სხვადასხვა მნიშვნელოვან მიმდინარეობათა გავლენას (თუმცა ერთი რომელიმე მიმართულების „დისტილირებული“ სტილური გამოხატულება მასთან არ ჩანს). მხატვარი ძალდაუტანებლად აღწევს, ერთი მხრივ, ქართული კულტურის თავისებურებათა „ფერწერულ გააზრებას“, მეორე მხრივ, ბუნებრივად ერთვება მისი თანამედროვე მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში. ამ გზით ყალიბდება არა ევროპული მოდერნიზმის პერიფერიული დანამატი ეპიგონური სახისა, არამედ ინოვაციური შემოქმედებითი მსოფლმხედველობით ახალ თვისობრივ სიმაღლეზე აყვანილი და სახეცვლილი ქართული პორტრეტის ახლებური ინვარიანტი.

- **ქართული კარიკატურის ისტორია, მარიანა ობლეი**

ნაშრომში ოსკარ შემერლინგისა და არქიტექტორ მიხეილ შავიშვილის კარიკატურების განხილვის ფონზე წარმოდგენილია როგორ ჩაისახა საქართველოში ხელოვნების ეს დარგი. „დიდხანს ელოდა ჩემი კარანდაში სამოღვაწეო ასპარეზს - წერდა ოსკარ შემერლინგი - მათრახი ჩემი მტვერმა დაფერფლა და სოცოცხლის ნიშან-წყალს დაკარგული მშვიდობიანად ესვენა მაგიდაზე“. მხოლოდ 1920 წელს ა. ჯაბადარს მოუვიდა თავში გენიალური აზრი, საძირკველი ჩაეყარა ქართული კარიკატურისათვის „გავულესე წვერი ჩემს კარანდაშს, გამოვაღვიძე მათრახი ჩემი და აი უკვე 15 წელიწადია, რაც ვიღეწვი ქართულ იუმორისტულ პრესაში“. ო. შემერლინგის ნახატები და მ. შავიშვილის თეატრალური ესკიზები მოწმობს მოდერნისტული ხელოვნების ზეგავლენაზე სახვითი ხელოვნების ამ ჟანრში.

- **რელიგიური თემა მერაბ აბრამიშვილის შემოქმედებაში, ნათია ებანოიძე**

